28/11/2024

MES 7 24 0001532609

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თეა ლილუაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა:
მარეხი იოსებიძე -სკოლის დირექტორი

სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლა:
მანანა მახარაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლა:
ჟუჟუნა ლობჟანიძე - სკოლის დირექტორი;
მაია ფხაკაძე - სკოლის მასწავლებელი.

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი:
ნიკოლოზ ჩხარტიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი:
მარიამ ხიდეშელი - სკოლის დირექტორი;
სალომე მოხურია - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
ირმა კვინიაშვილი - დაწყებითი საფეხურის მენეჯერი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა:

ა) თეონა ყაჭეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათელა ბასილია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლა:

ა) ია სოხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა მურვანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ჩივაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლა:

ა) ტარიელ კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) საბა ნათენაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა სამხარაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჭელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი:

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეკა ტყავაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი:

ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია სოხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ლელა ბუბაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისაგან გამოთხოვილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგების განხილვა;

5. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენლმა, განმარტა, რომ ექსპერტს ჰქონდა ტექნიკური პრობლემა და შესაძლოა მოგვიანებით ვერ წარედგინა პრეზენტაცია, აღნიშნულის გათვალისწინებით მიმართა საბჭოს წევრებს, სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი განეხილათ პირველ საკითხად.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისაგან გამოთხოვილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგების განხილვა;
5. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 19 და 20 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ

ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 70. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 70 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი, თუმცა ჰქონდა ღია სპორტული მოედანი, ასევე, სკოლას ჰქონდა რესურს ოთახი, სამედიცინო ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია განთავსებული იყო ერთ ოთახში, ასევე ერთ ოთახში იყო განთავსებული ბიბლიოთეკა და დირექტორის კაბინეტი.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ტარიელ კალანდაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად ახორციელებდა პროექტებს: „ჩემი ჭკვიანი დაფა“, „ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების მავნე როლი ადამიანის ჯანმრთელობისთვის“. სკოლა ჩართული იყო საერთაშორისო პროექტებში: „well-being at school“; „Let’s students meet beyond borders“; „Climate change and our behavior“ და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ყველა საგნის მასწავლებელი.

ექსპერტის, ტარიელ კალანდაძის, განმარტებით, სკოლას ჰყავდა ყველა საგნის მასწავლებელი, თუმცა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკას ასწავლიდა ერთი და იგივე პედაგოგი. დაწესებულებას მიეცა რჩევა, გამოეცხადებინა კონკურსი, რათა ხელოვნება და მუსიკა ესწავლებინა სხვადასხვა მასწავლებელს.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რა შინაარსს ატარებდა ერთ-ერთი პროექტი სახელად „ერთი დღე ხორცის გარეშე“.

სკოლის მასწავლებლის, მაია ფხაკაძის, განმარტებით, აღნიშნული პროექტი მიმართული იყო კლიმატის ცვლილებასთან, კერძოდ, ერთი დღით შეემცირებინათ ბუნებაში არსებული ცოცხალი ორგანიზმებისგან მიღებული საკვები და დაეცვათ ცოცხალი ორგანიზმები. მისი განმარტებით, მასწავლებლების დახმარებით მოსწავლეებმა დაამზადეს ის საკვები, რომელშიც არ შედიოდა ცხოველური პროდუქტები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, როგორი იყო აღნიშნული პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები.

სკოლის მასწავლებელმა, მაია ფხაკაძემ, აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელებამდე მოსწავლეებს, თეორიულიად აუხსნეს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ცხოველური პროდუქტების მოხმარების თუნდაც ერთი დღით შემცირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევის საფუძველზე, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, რატომ წარმოადგენდა პრობლემურ საკითხს კურიკულუმის ერთიანი ფორმის შემუშავება და შეფასების რუბრიკების სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში მოყვანა.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა და აპირებდნენ კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების დახვეწას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:35
დასრულების დრო - 16:42

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლას (ს/კ:237981163) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პიპილეთი
2		საბაზო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პიპილეთი

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პიპილეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ნოემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა,ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში მომზადებული ჰქონდათ კომპლექსური დავალების პროდუქტი - შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანიდან“ იმ ფრაგმენტთა კრებული, სადაც ძვირფასი ქვების სახელები ჰქონდა ნახსენები ავტორს.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა საჯარო რეესტრის ამონაწერი და სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ წლები ცდილობდა სკოლის ფართის დარეგისტრირებას, თუმცა, ვინაიდან, სკოლის საზღვრებში შემოჭრილი იყო მეზობლის კარმიდამო, ხოლო ის მეზობელი არ იმყოფებოდა საქართველოში პროცესი ვერ პროგრესირებდა.
ექსპერტმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ პირველი სართული იყო სრულად ადაპტირებული, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელ კიბეს არ ჰქონდა პანდუსი. დაწესებულებას ჰქონდა კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზი, ექიმის ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მოსწავლეების მიერ განხორციელებული ერთ-ერთი არაფორმალური პროექტის შესახებ, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეებმა სოფელში მცხოვრებ მარტოხელა, ასაკოვან მოსახლეობას დაურიგეს თავიანთი ხელით დამზადებული საკვები.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ აპირებდა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას.
სკოლის დირექტორის, მარეხი იოსებიძის, განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებაზე, მასწავლებლებსა და დირექციას აქტიური მუშაობა ჰქონდათ დაწყებული.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და არ იხსნებოდა დაწესებულების სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე სრულად აესახათ ინფორმაცია სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. აქვე, მან აღნიშნა, რომ „ისტორიასა“ და „მოქალაქეობაში“ მოცემულ შეფასების რუბრიკებს ესაჭიროებოდა დახვეწა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო – 16:55
დასრულების დრო – 17:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლას (ს/კ:218049136) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი თორტიზა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი თორტიზა

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და საჯარო რეესტრში შენობის დარეგისტრირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო 2025 წლის ნოემბერში, 2.1 კომპონანტთან (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

3. სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 03 და 04 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ია სოხაძემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა გარე სპორტული მოედანი და შიდა სპორტული დარბაზი, რესურს-ოთახი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები, ბიბლიოთეკა.

ექსპერტ ია სოხაძის განმარტებით, სკოლაში შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი: „ერუდიტი“, „ლიტერატორები“ და ფუნქციონირებდა ცეკვის წრე. მისი თქმით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტების ფარგლებში სკოლამ მოიპოვა გამარჯვება და მიიღო დაფინანება ორი პროექტისათვის: „ხელმარჯვე ოსტატები“ და „გადავარჩინოთ კოლხური ბზა“.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტს, შეეფასებინა, როგორი იყო მასწავლებელთა მზაობა, გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების კუთხით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, დავით ჩივაძის განმარტებით, მასწავლებლებს ჰქონდათ სრული მზაობა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. დამატებით დასძინა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, თუმცა, მათ არ ჰქონდათ ერთგვაროვანი სახე.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ ზეპირად გაცემული რჩევები ასახული იყო თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე სრულყოფილად განეთავსებინათ მოსწავლეების, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი და შინაგანაწესი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, დავით ჩივაძის განმარტებით, ზეპირსიტყვიერად გაცემული ყველა რჩევა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ჰქონდა ასახული. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, ია სოხაძემაც.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ეკატერინე მიქაუტაიძის, განმარტებით, სკოლას კარგად ჰქონდა გაწერილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები. ასევე, მან აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდათ სრული მზაობა, გაცემული რჩევების გათვალისწინებისათვის.
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, დავით კიკაბიძემ, აღნიშნა, რომ დაწყებით და საბაზო საფეხურებზე დაწესებულება რეალურად ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს, თუმცა, კურიკულუმში ასახული ჰქონდა სხვა დავალებები, ხოლო, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო დამაკმაყოფილებელი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ, გასული წლის, სასკოლო სასწავლო გეგმაში უცხოურ ენასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეფასების რუბრიკები იწყებოდა 0-დან და დაინტერესდა, მიმდინარე წელსაც ასე ჰქონდათ თუ არა განსაზღვრული.
სკოლის დირექტორის, მანანა მახარაძის განმარტებით, დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, რაც უკვე აღმოფხვრილი იყო დაწესებულების მხრიდან და დახვეწეს შეფასების რუბრიკები.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ მე-11 კლასში დაწესებულებას არჩევით საგნად მოცემული ჰქონდა „ხელოვნება და მოქალაქეობა“ მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რას მოიცავდა აღნიშნული საგანი.
სკოლის დირექტორის, მანანა მახარაძის, განმარტებით, მოქალაქეობა იყო ძირითადი საგანი და წარმოდგენილ დოკუმენტაციას ჰქონდა ხარვეზი. მისი განმარტებით, საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს არჩევით საგნებად ჰქონდათ: „გარემო და მდგრადი განვითარება“, „ეკონომიკა“ და „მეწარმეობა“.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ პირებად სკოლას განსაზღვრული ჰყავდა ისეთი ადამიანები, რომლებიც საშტატო განრიგით არ ჰყავდათ განსაზღვრული და დაინტერესდა, რით ხსნიდა დაწესებულება ამ ფაქტს.
სკოლის დირექტორის, მანანა მახარაძის, განმარტებით, ტექნიკურ-მატერიალურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი დოკუმენტაციაში შეცდომით იყო განსაზღვრული და აღნიშნული იყო ტექნიკური შეცდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო – 17:25
დასრულების დრო – 17:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლას (ს/კ:246994819) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლეღვა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლეღვა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლეღვა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 3.1 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, დაწყებითი კლასების ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლის აყვანის და მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისაგან გამოთხოვილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგების განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე წლის 07 ივნისს, შპს-იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას გაეგზავნა კორესპონდენცია, რომლითაც ეცნობა, რომ დაწესებულება განსაზღვრული იყო 2024 წლის 10 აპრილს ცენტრის დირექტორის N412815 ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2024 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმაში“.
აღნიშნული კორესპონდენცია საქართველოს ფოსტის მიერ ცენტრს დაუბრუნდა ამა წლის 03 ივნისს. საქართველოს ფოსტის თანამშრომლის განმარტებით - "აღნიშნულ მისამართზე სკოლა აღარ ფუნქიონირებდა, დაკეტილი იყო. ტელეფონის ნომერი გამორთულია, ვერ დავუკავშირდი".
ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ცენტრმა მიმართა სკოლას, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოედგინა სკოლის ფაქტობრივი მისამართი, სადაც ხორციელდებოდა სასწავლო პროცესი და აგრეთვე ფაქტობრივი გარემოებების აღწერა. წარმოდგენილი წერილის პასუხად, შპს- იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიამ 2024 წლის 28 ივნისს გამოაგზავნა კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც, სკოლას წარსულში შენობა აღებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულებით, მათი განმარტებით, იჯარის საფასური იმდენად გაეზარდათ, რომ სკოლა ვერ შეძლებდა თანხის გადახდას. შესაბამისად, შენობის უქონლობის გამო, სკოლას შეჩერებული ჰქონდა სასწავლო პროცესი, ხოლო მოსწავლეები მობილობით გადასული იყვნენ სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:40
დასრულების დრო - 17:43

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას (ს/კ:211358449) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 29 და 30 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, რუსულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 470. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 470 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების ბრძანებები e-school-ის ბაზაში ატვირთული ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ვინაიდან, სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა რუსულ ენაზე, რომელი სასწავლო რესურსებით ასწავლიდნენ მოსწავლეებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ხათუნა ნოზაძის განმარტებით, ქართულენოვან გრიფირებულ სახელმძღვანელოებს თარგმნიდნენ რუსულ ენაზე და ამ სახით აწვდიდნენ მოსწავლეებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ხათუნა ჯიმშიაშვილის, განმარტებითაც, სახელმძღვანელოები თარგმნილი იყო რუსულ ენაზე. მან ასევე დასძინა, რომ

სკოლის წარმომადგენლებს დოკუმენტაციის შევსება მოუწიათ ქართულ ენაზე და ენობრივი ბარიერის გამო, გარკვეულ დოკუმენტაციაში იკვეთებოდა ტექნიკური ხარვეზები. ექსპერტის განმარტებით, საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა ივლისის თვეში, შესაბამისად, მოუწიათ გასული წლის კურიკულუმების შესწავლა, ხოლო განახლებული დოკუმენტაცია ექსპერტებს არ მიუღიათ.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, ვინ თარგმნიდა ქართულ გრიფირებულ სახელმძღვანელოების რუსულ ენაზე.
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის, ნათია ნაფეტვარიძის განმარტებით, თარგმანს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით ახორციელებდნენ გამომცემლები ან ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ თარმანის ხარისხზე.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვის წესში დაწესებულებას ჰქონდა დაწესებული შეზღუდვა, კერძოდ, პირველ კლასში იღებდნენ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, ვინც პირველ ოქტომბრამდე გახდა 6 წლის და მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რა იყო ამ შეზღუდვის საფუძველი.
სკოლის დირექტორის, ნიკოლოზ ჩხარტიშვილის, განმარტებით, აღნიშნულ ჩანაწერში იყო ტექნიკური შეცდომა და ნაცვლად 1-ლი ოქტომბრისა, უნდა ყოფილიყო 1-ლი დეკემბერი.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, როგორ ისწავლებოდა სკოლაში სახელმწიფო ენა (ქართული ენა და ლიტერატურა) და რამდენად ემსახურებოდნენ მოსწავლეების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, მაკა ნადარეიშვილის განმარტებით, ქართული ენა ისწავლებოდა როგორც მეორე ენა.
სკოლის დირექტორმა, ნიკოლოზ ჩხარტიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ქართული ენის სწავლების კონცეფცია, ასევე, ცალკე ჰქონდათ ქართული ენის წრე, სადაც მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დამატებით ესწავლათ ქართული ენა. რაც შეეხებოდა მოსწავლეთა ადაპტაციას, მისი განმარტებით, დაწესებულება ახორციელებდა მრავალ პროექტს, მათ შორის, გასვლით ღონისძიებებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ქართველი მოსწავლეები, ასევე, ექსპერტთა ჯგუფს შესწავლილი ჰქონდა თუ არა ნათარგმნი სახელმძღვანელოები.
სკოლის დირექტორის, ნიკოლოზ ჩხარტიშვილის განმარტებით, უცხოენოვან მოსწავლეებთან ერთად, დაწესებულებაში სწავლობდნენ ქართველი მოსწავლეებიც.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, მაკა ნადარეიშვილის, განმარტებით, ექსპერტებმა შეისწავლეს სახელმძღვანელოები, რომლებიც ფორმატით იდენტური იყო ქართული გრიფირებული სახელმძღვანელოებისა, მხოლოდ, იყო რუსულ ენაზე.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ ხორციელდებოდა ჩინური ენის სწავლება სკოლაში.
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის, ეკა ტყავაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ისწავლებოდა ჩინური ენა და მასწავლებელს ჰქონდა ჩინური ენის სწავლებისთვის საჭირო ყველა რესურსი.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, რამდენად იყო სკოლის მისია და სასკოლო სასწავლო გეგმა თანხვედრაში, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
ექსპერტის, ნანა მონიავას, განმარტებით, სკოლის მისია და მიზნები შესაბამისობაში იყო ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. მისი განმარტებით, სკოლაში ჭარბობდნენ ქართველი მოსწავლეები და ყველა ღონისძიება ტარდებოდა ეროვნული ღირებულებების ხაზგასმით.
სკოლის დირექტორმა, ნიკოლოზ ჩხარტიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა აღნიშნავდა თბილისობას, დამოუკიდებლობის დღეს და სხვა, საქართველოსთვის მნიშვნელოვან

დღესასწაულს, ასევე, რადგან საქართველოს კურსი არის ევროინტეგრაცია, სკოლაში ჩატარდა ევროპული დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ხათუნა ჯიმშიაშვილის, განმარტებით, სკოლაში ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და ფარავდა ყველა იმ თემას, რომელიც ისწავლება ქართულენოვან სკოლებში.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ ხდებოდა დამატებითი სასწავლო რესურსების შერჩევა.
ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა, განმარტა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი რესურსების ჩამონათვალი იყო მწირი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ მიმართულებით გაიცემული იყო რჩევები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტის, მანანა როსტომაშვილის განმარტებით, სკოლა ასევე აქტიურად იყენებდა ტელესკოლის მასალებს.
სკოლის დირექტორმა ასევე დასძინა, რომ მოსწავლეებს წვდომა ჰქონდათ ელექტრონულ მასალებზეც, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები და რჩევები სკოლას საბჭოს სხდომამდე უკვე გათვალისწინებული ჰქონდა.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლაში რაიმე სახის რესურსი ან ნარატივი, რომელიც კავშირში იქნებოდა რუსეთის ფედერაციასთან.
ექსპერტის, ნანა მონიავას, განმარტებით, აღნიშნული საკითხით დაინტერესდნენ ექსპერტებიც და აღნიშნა, რომ მსგავსი სახის რესურსი ვიზუალურად ექსპერტთა ჯგუფს არ უნახავს. აქვე დასძინა, რომ სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს ესმოდა ქართული ენა.
სკოლის დირექტორის, ნიკოლოზ ჩხარტიშვილის, განმარტებით, დაწესებულებამ სპეციალურად შემოიტანა ესტონური სახელმძღვანელოები, რათა არ ჰქონოდა რუსული სიმბოლიკა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, სკოლის მისიასა და ხედვაში მეტად წარმოეჩინა საქართველოს მნიშვნელობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 470 - ით განსაზღვრის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 15 ნოემბერი(საბჭოს ჩატარების დღე), რადგან დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა ეწურებოდა 29 ნოემბერს და სასწავლო პროცესს არ შეჰქმნოდა ხარვეზი.საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:10
დასრულების დრო - 18:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსს (ს/კ:406243514) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 470 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები,აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 15 ნოემბერი

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	რუსული	თბილისი, ი.გრიშაშვილის ქ. N51
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	რუსული	თბილისი, ი.გრიშაშვილის ქ. N51
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	რუსული	თბილისი, ი.გრიშაშვილის ქ. N51

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი და მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები.

მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ნოემბერში 4.1 კომპონენტთან მიმართებით, კანონთან თანხვედრაში მოსული სტატუსის შეჩერების მექანიზმის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N860509 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა, 2024 წლის 30 და 31 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის პროცესში სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 178-ს.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი იყო, მოქალაქის განცხადება, რომელიც ეხებოდა დაწესებულებაში მიმდინარე წლის 12 ივნისს მომხდარ ინციდენტს. კერძოდ, ერთ-ერთი კლასის მოსწავლეს დასვენებაზე თამაშისას, თანაკლასელთან შეჯახების შედეგად, დაუზიანდა ზედა კიდური - დაფიქსირდა მოტეხილობა. როგორც განცხადებიდან ირკვეოდა, ეს უკვე რიგით მეორე დაზიანება იყო ხელის კიდურის (პირველი შემთხვევა თანაკლასელის დაბადების დღეზე დაფიქსირდა, ინციდენტამდე 6 თვით ადრე და მოსწავლეს დასჭირდა ოპერაციული ჩარევა). მშობელი განცხადებაში აქცენტს აკეთებდა რამდენიმე გარემოებაზე, კერძოდ:

- სკოლა მშობლის მოსვლამდე არ დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს;
- პირველადი დახმარება მოსწავლეს გაუწია კლასის დამრიგებელმა;
- დაწესებულება ინფორმირებული იყო მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუმცა, არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები, რათა თავიდან აეცილებინა ინციდენტი;
- მშობელი გულგრილობაში ადანაშაულებდა სკოლის ადმინისტრაციას და ექთანს;
- დაწესებულებამ არ შესთავაზა მოსწავლეს ფსიქოლოგის მომსახურება/მხარდაჭერა. ექსპერტებმა, კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს ზემოაღნიშნული ინციდენტი.

ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს, სკოლის დოკუმენტაციას, გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და გამოკვეთეს რიგი გარემოებები:

მოსწავლის კლასის დამრიგებელთან საუბრებისას გამოიკვეთა, რომ ინციდენტის დროს, დასვენებაზე, იგი არ იმყოფებოდა თავის კლასთან. ასევე, სკოლის მიერ დადგენილი მორიგეობის განრიგის შესაბამისად, შემთხვევის დროს დერეფანში არ იყო მორიგე მასწავლებელი.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტის ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი" თანახმად, მწვავე სამედიცინო პრობლემის არსებობის შემთხვევაში, როდესაც მოცდის საშუალება არ არის, სკოლის დირექცია უფლებამოსილია შეუძლოდ მყოფ პირს არსებული რესურსის გამოყენებით, შესაძლებლობის ფარგლებში, აღმოუჩინოს მხოლოდ და მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარება, დარეკოს 112–ში და გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა (რაც, აღნიშნულ შემთხვევაში, არ განხორციელდა). სკოლის სქემატურად წარმოდგენილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურაც ითვალისწინებდა პირველად დახმარებას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას მშობელთან დაკავშირებამდე. თუმცა, ვინაიდან მშობელმა სატელეფონო კომუნიკაციისას აღნიშნა, რომ იმყოფებოდა დაწესებულებასთან ახლოს და მალევე გამოცხადდა სკოლაში, ამან განაპირობა, ის რომ დაწესებულებამ არ გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.
ექსპერტებმა საკითხის განხილვისას იხელმძღვანელეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ, 21.03.2022წ. - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ", რომლის თანახმად, სკოლის ექთნის კომპეტენციაა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ჩაატაროს საჭირო მანიპულაციები და საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა„ რამდენიმე ასპექტი, რომელიც დაწესებულების მხრიდან პროცედურების და/ან კანონით დადგენილი რეგულაციების შესაძლო დარღვევაზე მიუთითებდა:

- სკოლის მიერ შედგენილი საკანონმდებლო აქტები არ იყო შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან (დაწესებულების ბრძანება ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი" არ ეფუძნებოდა ზემოაღნიშნული №41/ნ/01 23/ნ, 21.03.2022წ., ბრძანებით დადგენილ რეგულაციებს);
- დაწესებულება მშობლის მოსვლამდე არ დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს;
- პირველადი დახმარება მოსწავლეს გაუწია კლასის დამრიგებელმა და არა სკოლის ექთანმა;
- სკოლას არ ჰყავდა კვალიფიციური ექიმი. №41/ნ/01-23/ნ, 21.03.2022წ., ბრძანებით დადგენილი ნორმების მიხედვით - ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია სკოლის ექიმი ჩანაცვლდეს ექთნით. დაწესებულებას ბოლო წლების განმავლობაში არ გამოუცხადებია ვაკანსია ექიმის თანამდებობაზე და შესაბამისად, ვერ დგინდებოდა, სახეზე იყო თუ არა საკადრო დეფიციტი.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განმარტა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო, მე-4(მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მეტწილად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. მისი თქმით, სკოლის მისასვლელთან იყო ხევი და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ გაეუქმებინათ აღნიშნული შემოსასვლელი.
ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ ტექნოლოგიების ერთ-ერთ მასწავლებელს არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია და დიპლომი, არ იყო სერტიფიცირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, მომხდარი ინციდენტის შემდგომ რა პერიოდის შემდეგ იყო შეტანილი მშობლის საჩივარი, ასევე, რა მდგომარეობა ჰქონდა სკოლას კურიკულუმებთან, ხევთან გასასვლელის გაუქმებასთან, ექიმთან დაკავშირებით და რატომ ვერ შეძლო დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის წარმოდგენა.
ექსპერტის, ლელა ჯაშის, განმარტებით, მშობელმა საჩივარი დაწერა ინციდენტის შემდგომ მოკლე პერიოდში.
სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის, სალომე მოხურიას, განმარტებით, სკოლას დაწყებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე მუშაობა და ვინაიდან სურდათ სრულყოფილი დოკუმენტაციის გადმოგზავნა ვერ მოასწრეს შესაბამისობის გეგმის წარმოდგენა.
დაწყებითი საფეხურის მენეჯერის, ირმა კვინიაშვილის განმარტებით, ექიმის დასაქმება პრობლემური საკითხი იყო, ვინაიდან სკოლისა და კანდიდატების მოთხოვნები არ მოდიოდა თანხვედრაში. მისი თქმით, დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია და ამ შემთხვევაში მაქსიმალურად გაითვალისწინებდნენ კანდიდატის მოთხოვნებს. რაც შეეხებოდა ხევთან ახლოს მდებარე გასასვლელს, მისი განმარტებით, აღნიშნული სივრცე იყო დაკეტილი. სკოლის წარმომადგენლის განაცხადებით, სართულებზე მორიგეობა და უფლება-მოვალეობების საკითხი, სკოლას უკვე გამკაცრებული ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა გარკვეული რეკომენდაციები.
ექსპერტის, ლელა ჯაშის, განმარტებით, ინფრასტრუქტურის მიმართულებით სკოლამ გარკვეული ხარვეზები აღმოფხვრა, ხოლო კურიკულუმებთან დაკავშირებით კვლავ რჩებოდა გამოწვევები. მისი თქმით, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენდა სხვადასხვა საკითხის შეფასება.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, 2022 წელს, როდესაც სკოლამ მიიღო ავტორიზაცია, ჰყავდა თუ არა ექიმი და ჰქონდა თუ არა სამედიცინო ოთახი.
დაწყებითი საფეხურის მენეჯერის, ირმა კვინიაშვილის, განმარტებით, 2022 წელს სკოლას ჰყავდა ექიმი, რომელმაც მოგვიანებით დატოვა სამსახური და შემდგომ დაასაქმეს ექთანი.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ 2022 წელს სკოლამ მიიღო ავტორიზაცია და ჰქონდა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად საჭირო ყველა კომპონენტი, ხოლო ორი წლის შემდეგ კი ასეთი რთული ვითარება იყო.
სკოლის დირექტორმა, მარიამ ხიდეშელმა, აღნიშნა, რომ სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ მოიპოვა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ასევე, ჰქონდა ყველა საჭირო სამედიცინო ინვენტარი. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი იყო გზამკვლევი, თუ რა მიმართულებით უნდა გაეგრძელებინა სვლა სკოლას სამომავლოდ.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული ჰყავდა თუ არა სასკოლო საზოგადოება.

სკოლის დირექტორის, მარიამ ხიდეშელის, განმარტებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულნი იყვნენ მისი მოადგილეები, დაწყებითი საფეხურისა და ხარისხის მართვის მენეჯერები.
აღნიშნულთან დაკავშირებით, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა, რომ გარკვეულ დოკუმენტაციებში მითითებული იყო, რომ შეიმუშავებდა და ამტკიცებდა სკოლის დირექტორი, შესაბამისად, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ გადაწყვეტილებებს არ იღებდა ერთპიროვნულად, დოკუმენტურადაც აესახათ არსებული რეალობა. ასევე, აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული მისია და შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ასახული მისია არ მოდიოდა ერთმანეთთან თანხვედრაში და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რომელი იყო მოქმედი და რატომ იყო მათ შორის სხვაობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ლელა ჯაშის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული მისია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდგომ კი, დახვეწა დოკუმენტაციასთან გაცემული გარკვეული რეკომენდაციები.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას ასევე მისცა რჩევა, გადაეხედათ მე-6 კლასის მუსიკისა და ისტ-ის სახელმძღვანელოებისთვის, ვინაიდან, მითითებული იყო, რომ აღნიშნული წიგნები გრიფირებული იყო 2011 წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო 19:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-8
წინააღმდეგი - 2

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 15 ნოემბერი (საბჭოს ჩატარების დღე). საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე

დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათის (სკ: 212274867) მონიტორინგთან დაკავშირებით.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 15 ნოემბერი.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები.

დღის წერსიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 19:20 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა